ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო

საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 23

29 ივნისი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

სხდომა ჩატარდა იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან ერთად.

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე - თამარ მათიაშვილი

სამგორის რაიონის გამგებელი- კახა გულედანი

სამგორის რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი- ირაკლი იადონიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე კომისების წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

1.ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპ.№25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპლაიტეტის საკუთრებაში არსებულ 11774 კვმ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:№01.10.07.004.025) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ პირობების მოწონების თაობაზე.
№12-031817166-03

2. ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების IV მიკრორაიონის კორპ.№25-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპლაიტეტის საკუთრებაში არსებულ 6122 კვმ მიწის ნაკვეთზე (საკ/კოდი:№01.72.14.004.483) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ პირობების მოწონების თაობაზე.
№12-031817166-03

3. ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ.№2-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკ/კოდები: №01.15.05.061.005.05.501; #01.15.05.061.005.05.502; #01.15.05.061.005.05.504; #01.15.05.061.005.05.505; #01.15.05.061.005.005.05.507; #01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეობისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანმხების თაობაზე.
№12-031816550-03

4.ქ.თბილისში,გარდაბნის გზატკეცილი №24ა-ში (საკ/კოდი:№01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №18.414.680 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
№12-031817167-03

5. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე,IV მიკრორაიონში,ზემო პლატოზე არსებული 6853 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის №18.436.726 განკარგულების თანხმობის გაცემის შესახებ.
№12-0318177128-03

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან დასახვეწია ინტერესთა გამოხატვის შესახებ პირობები, დღის წესრიგიდან ამოეღოთ აღნიშნული საკითხები, რასაც ხმა მისცა კომისიის ყველა წევრმა.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით:

1. ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ.№2-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკ/კოდები: №01.15.05.061.005.05.501; #01.15.05.061.005.05.502; #01.15.05.061.005.05.504; #01.15.05.061.005.05.505; #01.15.05.061.005.005.05.507; #01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეობისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანმხების თაობაზე.
№12-031816550-03

2 ქ.თბილისში,გარდაბნის გზატკეცილი №24ა-ში (საკ/კოდი:№01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №18.414.680 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
№12-031817167-03

3. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე,IV მიკრორაიონში,ზემო პლატოზე არსებული 6853 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის №18.436.726 განკარგულების თანხმობის გაცემის შესახებ.
№12-0318177128-03

მოისმინეს თამარ მათიაშვილის ინფორმაცია „ ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ.№2-ში მდებარე ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკ/კოდები: №01.15.05.061.005.05.501; #01.15.05.061.005.05.502; #01.15.05.061.005.05.504; #01.15.05.061.005.05.505; #01.15.05.061.005.005.05.507; #01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეობისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანმხების თაობაზე.

საკითხი ეხება, ვუკოლ ბერიძის ქ.#2-ში მდებარე თვითმმართველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირველ სართულზე შეჭრილ 6 ოჯახს, რომლებიც დაახლოებით 2 წელია ფლობენ ფართებს და ამავე დროს არიან კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები. აღნიშნულ ბინაში მათ გადაეცემათ გარკვეული ფართები (საერთო ჯამში 564,34 კვმ) სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, სახელმწიფო საშინაო ვალზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ: ირაკლი ნადირაძეს, ირაკლი ზარქუას, ლილე ლიპარტელიანს, ლევან ჟორჟოლიანს.

მათ აღნიშნეს, რომ ხომ არ ხდება ადამიანების წახალისება უკანონოდ შეჭრასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს ადამიანები თავის დროზე იშენებდნენ სულ სხვა ადგილზე კოოპერატიულ ბინებს და არასწორია, როდესაც ქალაქის ცენტრში მათ უკანონდებათ უფრო მეტი ფართები, ვიდრე თავის დოზე ექნებოდათ.

ასევე დაინტერესდნენ, ჰქონდათ თუ არა მათ სხვა ადგილებზე რაიმე შეთავაზება, და ხომ არ აჯობებდა ფართებს, რომლებსაც მათ გადავცემთ, გამოყენებული იქნას კომერციული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამ ადამიანებს შევთავაზოთ სხვა ალტერნატიული ვარიანტი.

კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის დროებით გადადების შესახებ.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის ყველა წევრის გადაწყვეტილებით, საკრებულოს განკარგულების პროექტი: „ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ.№2-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკ/კოდები: №01.15.05.061.005.05.501; #01.15.05.061.005.05.502; #01.15.05.061.005.05.504; #01.15.05.061.005.05.505; #01.15.05.061.005.005.05.507; #01.15.05.061.005.05.508) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეობისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანმხების თაობაზე“ განხილვა გადაიდო დამატებით შესწავლისათვის.

მოისმინეს: ქ.თბილისში,გარდაბნის გზატკეცილი №24ა-ში (საკ/კოდი:№01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №18.414.680 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

თამარ მათიაშვილის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, 27 ოჯახს სიმბოლურ ფასად ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცემათ ფართები გარდაბნის გზატკეცილი #24 ა-ში.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების შეკითხვებზე დამატებით განმარტა გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსმა ირაკლი იადონიძემ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ქონება არ არის სახელმწიფო ქონება,ეს არის უწყებრივი ქონება.. 1990-1991 წლებში მაშინდელ „სპეცტექნიკის ქარხანას" უნდა გადაეცა საკუთრებაში, თუმცა ვინაიდან შენობის დასრულება ქარხნის მიერ ვერ დასრულდა და კორპუსის ექსპლუატაციაში მიღება ვეღარ მოხერხდა, მოსახლეობამ თავისი ძალებით მოახერხა მშენებლობის დასრულება და შიდა კომუნიკაციით უზრუნველყოფა.

ირაკლი იადონიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა რამოდენიმე ადამიანის ბინის ორდერი, მაშინდელი ქარხნის „სპეცტექნიკის" კრების ოქმი და სხვა დოკუმენტაცია.

მომხრე-8

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია ქ.თბილისში,გარდაბნის გზატკეცილი №24ა-ში (საკ/კოდი:№01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №18.414.680 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ, საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე,IV მიკრორაიონში,ზემო პლატოზე არსებული 6853 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის №18.436.726 განკარგულების თანხმობის გაცემის შესახებ.

თამარ მათიაშვილმა აღნიშნა, რომ შპს „კა-3"-ის დირექტორმა ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, 5495 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.01.001.051), რომელიც მდებარეობს თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის ბოლოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ნუცუბიძის ფერდობზე მე-4 მიკრორაიონში,ზემო პლატოზე არსებული 6853 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:01.14.01.001.175) კომპანიისთვის გადაცემა. კომპანიამ 5495 კვმ მიწის ნაკვეთი მიიღი ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო-2015"-თან გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლის წევრები წარმოადგენენ კოოპერტიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს. კომპანიის სასურველი მოცულობით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება, არქიტექტურის სამსახურს შეუძლებლად მიაჩნია ამ ეტაპზე

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სხვა ქალაქმშენებლობითი პირობების არარსებობიდან გამომდინარე. გამომდინარე აქედან თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მიწის ნაკვეთების გაცვლა.გარდა ამისა კომპანია გამოთქთვამს მზადყოფნას გადაიხადოს მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა. მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის №18.436.726 განკარგულებით საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 600000 ლარი/ან 241000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში გადახდის დროს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, რომელიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 8 თვის ვადაში.

მომხრე-7; თავი შეიკავა- ირაკლი ნადირაძე.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე,IV მიკრორაიონში,ზემო პლატოზე არსებული 6853 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.01.001.175) გაცვლის ფორმით პრივატიზების თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 25 ივნისის №18.436.726 განკარგულების თანხმობის გაცემის შესახებ, **საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე** განსახილველად.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე

ირაკლი ზარქუა